

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №26

2011 წლის 20 ივლისი

ქ. ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ანაკლიასა და განმუხურში I კლასს დაქვემდებარებული III კატეგორიის წყალსადენისა და წყალარინების მშენებლობის შესახებ, რომელთა განთავსება/მშენებლობა შესაძლებელია მშენებლობის ნებართვის გარეშე

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტისა და „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა:**

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში – ანაკლიასა და განმუხურში „მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული III კატეგორიის წყალსადენისა და წყალარინების განთავსება/მშენებლობა დასაშვებია აღნიშნული სოფლების ნებისმიერ მიწის ნაკვეთზე, მათ შორის, საერთო საკუთრების მიწის ნაკვეთზე „საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების“ 66-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით.

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 29 ივნისის №25 დადგენილება.

3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, გრ. ქობალიას ქ. №12, უშუალო ზიანის მიყენებიდან სამი თვის ვადაში.

4. ეს დადგენილება ამოქმედდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე

გრ. სხულუხია